

მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ზუგდიდი

10.03.2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის, თეონა ხუფენიას სახით

მეორე მხრივ, ოლიმპიადა „ევერესტი“ , წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ქურციკიძის სახით

შემდგომში „მხარეები“ ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, განათლების სფეროს განვითარების, მოზარდებში განათლების დონის ამაღლების, სწავლის მოტივაციის გაზრდისა და წახალისების მიზნით თანხმდებიან შემდეგზე :

მუხლი 1

- „მხარეები“ ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას განათლების სფეროში ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენის/გამოვლენის, დაჯილდოებისა და წახალისების მიზნით. აღნიშნულის განსახორციელებლად ისინი იღებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ოლიმპიადის ორგანიზებულად და წარმატებულად ჩატარებას.
- „უნივერსიტეტი“ ხელს შეუწყობს შესაძლებლობის ფარგლებში (შაბათ-კვირა) ოლიმპიადის საკუთარი შენობის სივრცითა და (ოთახებით/აუდიტორიებით) შესაბამისი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას (მერხები, სკამები).
- „მხარე“ იღებს პასუხისმგებლობას „უნივერსიტეტის“ ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს ხარჯები.
- მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული იქნება მემორანდუმის საგანთან, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე მემორანდუმის შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 2

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 3

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 5

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2 წლის ვადით.

მუხლი 6

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის

ოლიმპიადა „ევერსტის“

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი

დირექტორი

თეონა ხუფენია

გიორგი ქურციკიძე

თ. ხუფენია

გიორგი ქურციკიძე

ზუგდიდი, ჯანაშიას ქ№14
გამზირი,

თბილისი, ვაჟა ფშაველას

3 კვარტალი, 8ა.